შპს ჰოსპიტალ სერვისი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის

2024 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა 5
2. კომპანიის საოპერაციო გარემო 5
3. მომზადების საფუძველი 6
4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 6
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 17
6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები 17
7. ძირითადი საშუალებები 23
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 24
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....24
10. საწესდებო კაპიტალი.....24
11. აღებული სესხები 24
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 25
13. ამონაგები 25
14. პირობითი ვალდებულებები.....25
15. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები.....26

შპს ჰოსპიტალ სერვისი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარში	**შენიშვნა**	**2024 წლის 31 დეკემბერი**	**2023 წლის 31 დეკემბერი**
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებების ღირებულება	7	6 817 353	6 944 174
სულ გრძელვადიანი აქტივები		**6 817 353**	**6 944 174**
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	929 251	1 529 102
გაცემული სესხები		676 669	676 669
მარაგები		144 556	190 941
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	340 229	6 769
სულ მიმდინარე აქტივები		**2 090 705**	**2 403 481**
სულ აქტივები		**8 908 058**	**9 347 655**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	-	-
გაუნაწილებელი მოგება		2 621 754	3 612 142
სულ კაპიტალი		**2 621 754**	**3 612 142**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	11	3 576 421	3 343 754
ფინანსური ლიზინგი		177 013	177 013
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**3 753 434**	**3 520 766**
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	2 532 871	2 214 747
სულ მიდინარე ვალდებულებები		**2 532 871**	**2 214 747**
სულ ვალდებულებები		**6 286 304**	**5 735 514**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**8 908 058**	**9 347 655**

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2024 წლის 20 დეკემბერს

გიორგი ვაშაკიძე
დირექტორი

შპს ჰოსპიტალ სერვისი

<u>მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება</u>

ლარში	**შენიშვნა**	**2024**	**2023**
ამონაგები	13	**2 105 226**	**2 105 226**
სამედიცინო მომსახურების ხარჯი		(963 349)	(963 349)
ხელფასები		(1 731 697)	(1 731 697)
ცვეთა და ამორტიზაცია		(390 825)	(390 825)
იჯარის ხარჯი		(77 055)	(77 055)
საოფისე ხარჯი		(40 028)	(40 028)
დასუფთავების ხარჯი		(4 400)	(4 400)
კომუნალურები		(105 978)	(105 978)
რემონტის ხარჯი		(7 871)	(7 871)
საგადასახადო ხარჯები და ჯარიმები		(106 179)	(106 179)
ბანკის საკომისიო		(1 530)	(1 530)
დაზღვევის ხარჯი		-	-
კომუნიკაციის ხარჯი		(5 731)	(5 731)
დაცვის ხარჯი		(14 494)	(14 494)
სხვა საოპერაციო ხარჯი და შემოსავალი, ნეტო		(53 457)	(53 457)
საოპერაციო მოგება		**(1 397 368)**	**(1 397 368)**
კურსთა შორის სხვაობიდან მიღბული მოგება-ზარალი, ნეტო		275 509	275 509
ფინანსური ხარჯი		(376 037)	(376 037)
მოგება დაბეგვრამდე		**(1 497 896)**	**(1 497 896)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		**(1 497 896)**	**(1 497 896)**
სხვა სრული შემოსავალი		(221 371)	(221 371)
სულ წლის სრული შემოსავალი		**(1 719 267)**	**(1 719 267)**

შპს ჰოსპიტალ სერვისი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ლარში	**შენიშვნა**	**საწესდებო კაპიტალი**	**გაუნაწილებელი მოგება**	**სულ**
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**-**	**5 331 410**	**5 331 410**
2023 წლის ზარალი		-	(1 485 752)	(1 485 752)
2023 წლის სხვა სრული შემოსავალი		**-**	**(221 371)**	**(221 371)**
სულ 2022 წლის სრული მოგება		-	(1 707 123)	(1 707 123)
გამოცხადებული დივიდენდები		**-**	-	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**-**	**3 624 287**	**3 624 287**
2024 წლის ზარალი		-	(995 056)	(995 056)
2024 წლის სხვა სრული შემოსავალი		**-**	**-**	**-**
სულ 2024 წლის სრული მოგება		-	(995 056)	(995 056)
გამოცხადებული დივიდენდები		**-**	-	-
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**-**	**2 629 231**	**2 629 231**

შპს ჰოსპიტალ სერვისი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარში	**შენიშვნა**	**2024**	**2023**
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები		2 032 227	2 023 071
სერვისებსა და მარაგებში გადახდილი ფულადი სახსრები		(787 965)	(775 455)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(607 662)	(1 085 210)
გადახდილი გადასახადები (გარდა მოგებისა)		(40 798)	(276 646)
გადახდილი საპენსიო შენატანები		(2 614)	(36 554)
გადახდილი ბანკის საკომისიოები		(1 162)	(1 530)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		**592 025**	**(152 324)**
გადახდილი სესხის პროცენტები		(267 022)	(245 299)
საპროცენტო შემოსავლები		-	58
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**325 003**	**(397 564)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვაში გადახდილი ფულადი სახსრები		(331 919)	(703 870)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(331 919)**	**(703 870)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
აღებული სესხები		398 510	1 426 438
გადახდა ფინანსური ლიზინგისათვის		-	(96 858)
გადახდა აღებული სესხებისთვის		(50 680)	(263 027)
გაცემული სესხები		-	-
გადახდილი დივიდენდები		-	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**347 830**	**1 066 553**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(7 454)	(1 327)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		**6 769**	**42 978**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს		**340 229**	**6 769**

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს ჰოსპიტალ სერვისის („კომპანია“) წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის („ფასს მსს“) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების მიხედვით, 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჰოსპიტალ სერვისი დაარსდა 2011 წელს, საქართველოში მოქმედი რეგულაციების მიხედვით. კომპანია იურიდიულ პირად დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 400027163.

2023 წლის მდგომარეობით, კომპანიის მფლობელები არიან ფიზიკური პირები გიორგი ვაშაკიძე - 30% (საქართველოს მოქალაქე), მამუკა ჩიკვაიძე - 30% (საქართველოს მოქალაქე), მაია დოლმაზაშვილი - 30% (საქართველოს მოქალაქე) და ალექსანდრე ინასარიძე - 10% (საქართველოსა და ისრაელის ორმაგი მოქალაქე).

ძირითადი საქმიანობა და საქმიანობის ადგილი: კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საავადმყოფოების საქმიანობები, ძირითადი საქმიანობის განხორციელების ადგილია ქ. ქუთაისი, ჩხობაძის ქ #16.

რეგისტრაცია: საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ლ. ქართლელიშვილის ქ. #3.

წარდგენის ვალუტა: წინამდებარე ფინანსური აგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია გავითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალი ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3. მომზადების საფუძველი

შესაბამისობის განცხადი: წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო საწარმოებისათვის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება: კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის ოპერირებს. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („₾“).

ოპერაციები და ნაშთები: ფულადი აქტივები და ვალდებულებები, კომპანიის სამუშო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“-ის) მიერ დადგენილი კურსით. შემოსულობები და ზარალი უცხოური ვალუტის კურსთაშორის სხვაობიდან, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის სამუშო ვალუტაში გადაანგარიშებიდან, აღირიცხება მოცემული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „წმინდა მოგება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებიდან“.

წლის ბოლოს არსებული კურსით გადაყვანა არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომელთა შეფასება ხორციელდება პირვანდელი ღირებულებით.

2024 წლის 31 დეკემბრისათვის სებ-ის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსები, რომლითაც მოხდა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების ლარში გადაანგარიშება, იყო შემდეგი: ამერიკული დოლარი („$“) 1$=2.8068₾ და ევრო (€) 1€ = 2.9306₾ (2023 წლის 31 დეკემბრისათვის 1$=2,6894₾ და ევრო 1-=2,9753₾). ამჟამად, ქართული ლარი არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ძირითადი საშუალებები: ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ. დაუმთავრებელი მშენებლობის კატეგორია მოიცავს დაუმონტაჟებელ მოწყობილობებსა და დაუმთავრებელ მშენებლობებს, რომლებიც ძირითადი საშუალებების სახით იქნება გამოყენებული.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ და დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტის და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს,

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენისას გამოყენებულ ბუღალტრულ შეფასებაში ცვლილებების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს წინა წლებში ასახული გაუფასურების ზარალის დაკორექტირება.

ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა: მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

	<u>სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში</u>
შენობა-ნაგებობები	25
სამედიცინო ინვენტარი	5-7
საოფისე და სხვა აღჭურვილობა	4-7

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით, სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულების შემდგომ მისი მდგომარეობის გათვალისწინებით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საინვესტიციო ქონება: საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მფლობელობაში არსებული ქონება, რომელიც ემსახურება საიჯარო შემოსავლის მიღების ან კაპიტალის ღირებულების გაზრდის, ან ორივე მიზეზს ერთად და კომპანიის მიერ არ გამოიყენება საკუთარი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელბლად.

შენობა-ნაგებობების სახით წარმოდგენილი საინვესტიციო ქონება აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის ანარიცხით და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით 25 წლიან სასარგებლო მომსახუფრების ვადაზე. თუ არსებობს რაიმე ინდიკატორი, რომ საინვესტიციო ქონება შესაძლოა იყოს გაუფასურებული, კომპანია აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე ჩამოიწერება წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრულ შემოსავლის ანგარიშგებაში. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენისას გამოყენებულ ბუღალტრულ შეფასებაში ცვლილებების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს წინა წლებში ასახული გაუფასურების ზარალის დაკორექტირება.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონების ცვეთის ხარჯი ასახლია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „საოპერაციო იჯარიდან მიღებლი შემოსავალი“. საინვესტიციო ქონების გასვლიდან წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი გამოითვლება, როგორც ამონაგები, შემცირებული საბალანსო ღირებულებით და აღირიცხება წლის მოგება-ზარალში.

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზირდება აქტივის საბალანსო ღირებულებაში მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია ამ დანახარჯებთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოდინება და თუ შესაძლებელია დანახარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა სხვა რემონტის და მოვლა-შენახვის ყველა სხვა დანახარჯი გაწევისთანავე აისახება ხარჯებში.

იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე დაიწყებს საინვესტიციო ქონების გამოყენებას საკუთარ საოპერაციო საქმიანობაში, ასეთი ქონება გადადის საინვესტიციო ქონებიდან ძირითად საშუალებებში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება: აქტივებს, რომლებსაც ერიცება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ სააბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც ხდება დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა (ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულები). ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურების გადახედვა მასში შესაძლო კორექტირების გამოვლენის მიზნით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები: რეალური ღირებულება წარმოდგენს ფასს, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის ნებაყოფლობითი ოპერაციისას ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კვოტირებული ფასის გავრცელებით საწარმოს ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის, გამოიყენება შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან მოდელები, რომლებიც ეფუძნება ე.წ. „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებულ ოპერაციებს ან ინვესტიციის მიმღების ფინანსურ მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გამოყენებით: (i) პირველი დონის შეფასება არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი ემპირიული ამოსავალი მონაცემი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასება, არის შეფასება, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები). რეალური ღირებულების დონეების იერარქიაში ცვლილებები ხორციელდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გარიგების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითია დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტებისათვის (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები), მრჩევლებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის და მარეგულირებლებისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, ასევე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს. ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება („AC“) არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით („ECL“). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წამოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგრაიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება.

მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ნაწილია. შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების („POCI") შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება: ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა მიმდინარე დაკვირვებადი საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, რაც იწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები: კომპანია ფინანსურ აქტივებს შეფასების შემდეგ კატეგორიებად აჯგუფებს: რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით ('FVTPL'), რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ('FVOCI') და ამორტიზებული ღირებულებით ('AC).

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია (i) კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის; და (ii) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი ექცევა ამორტიზებული ღირებულებით შეფასების კატეგორიაში 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და შედგება 'სავაჭრო მოთხოვნების' და 'ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისგან'.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნეს მოდელი: ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი'), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი') ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა" ბიზნეს მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით ('FVTPL').

კომპანიის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს: პორტფელის დანიშნულბას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშიებით, თუ როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ფულადი ნაკადების მახასიათებლები: როდესაც ბიზნეს მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია აფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას ('SPPI').

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვლაებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით". SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია: ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებლია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკლრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ('ECL'). კომპანია პერსპექტიულად აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობებით შეწონილი ოდენობა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) გონივრული და ღირებული ინფორმაცია წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ისნტრუმენტები წარდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გათვალისწინებით, წმინდა.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომლის მიხდევითაც ზარალის რეზერვი ფასდება თანხით, რომელიც ამ ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, სავაჭრო მოთხოვნები ჯგუფდება საერთო რისკის მახასიათებლების მიხედვით.

კომპანია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურების შეფასებისთვის საერთო სამ ეტაპიან მოდელს იყენებს, რომელიც დამყარებულია თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილებაზე. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, რომელიც გაუფასურებული არ არის თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე. 1-ლი ეტაპის ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება თანხით, რომელიც წარმოადგენს ამ ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს საკრედიტო შემთხვევის დადგომისას შემდეგი 12 თვის

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

განმავლობაში, ან ამ ინსტრუმენტის კონტრაქტული ვადის განმავლობაში, რომელიც უფრო ხანმოკლეა ('12 თვიანი საკრედიტო ზარალი'). თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გამოვლინდა საკრედიტო ზარალის რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ('SICR'), აქტივი გადადის მე-2 ეტაპზე და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ხდება ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე. ეს მოქმედია სახელშეკრულებო ვადის გასვლამდე, მაგრამ ითვალისწინებს მოსალოდნელ გადახდილ ავანსებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში („მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი").

თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, აქტივი გადადის მესამე ეტაპზე და მისი ECL-ი ფასდება როგორც მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა: ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო უფლება არსებობს, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა: კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კომპანია გადაცემულ აქტივზე კონტროლს ინარჩუნებს, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და, ამავე დროს, ამ შესაძლებლობის გამოყენება შეუძლია ცალმხრივად და აქტივის გადაცემაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები - შეფასების კატეგორიები: ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით ('AC'), გარდა (i) „რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა" ('FVTPL'): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს, პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა: ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოიწურება).

ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც არ იწვევს ვალდებულების დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის („catch up") მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელების კაპიტალთან დაკავშირებულ ოპერაციას.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა: ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და

ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტის შემთხვევაში და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან (i) არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას („SPPI") წარმოადგენს და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურიზაციის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდაზე. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მინიმუმ თორმეტ თვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები: სავაჭრო მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა დავალიანება: სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საოპერაციო იჯარა: როდესაც კომპანია მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა კომპანიას მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები, იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუქცევადი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მაშინ, როდესაც აქტივები საოპერაციო იჯარითაა გადაცემული, იჯარის გადახდები აღიარებულია როგორც „საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი", წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის მოქმედების ვადის განმავლობაში და წარდგენილია პერიოდის მოგება-ზარალში.

მოგების გადასახადი: მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვევო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოდების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ და გაიყოფა 0,85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. პირობითი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდის გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდის განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები, ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასხადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა: ხელმძღვანელობა კომპანიას გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები, ჯარიმებისა და საპროცენტო განაკვეთის გარდა, აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ): წარმოებულ ღირებულებაზე დამატებული გადასახადი დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დებიტორული დავალიანებების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე. გადასახდელი დღგ, რომელიც დაკავშირებული ძირითადი საშუალებების შეძენასთან გადაიდება 5-10 წლით იმ საწარმოებისთვის, რომელთაც 20% ან მეტი აქვთ დღგ-ისგან გათავისუფლებული ბრუნვა.

2015 წლის 7 დეკემებრს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც, გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები ყველა გადასახადისთვის (მოგების გადასახადის ჩათვლით) და გადასახადების ყველა გადახდა აღირიცხება კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშზე. ამის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარდგენილია წმინდა საფუძველზე. მოგების გადასახადის და ვალდებულებების შედეგობრივი ნაშთები ანგარიშში შეტანილი, როგორც „სხვა საგადასახადო დავალიანებები, წმინდა“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, სამედიცინო საქმიანობა გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან ჩათვლის უფლების გარეშე. ამავე დროს, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება გადამხდელს წარმოეშობა ნებისმიერი უწყვეტი 12 თვის განმავლობაში დღგ-ით დასაბეგრი 100 ათ. ლარის და მეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში. დღგ-ის დასაბეგრი ბრუნვა 2023 წლის განმავლობაში კომპანიას არ ჰქონია, ამიტომ, კომპანია არაა რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად.

გადახდილი ავანსი: გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურებული ანარიცხებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი აქტივი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოდინება. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას, როდესაც არსებობს ინდიკატორი, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული,

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

საწესდებო კაპიტალი: კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები ხორციელდება მხოლოდ კომპანიის პარტნიორების გადაწყვეტილების საფუძველზე.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები: ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო, ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორცაა მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის; თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება გადახდილი ავანსების სახით.

ამონაგების აღიარება: ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით, გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, დაბრუნების და დღგ-ს გარეშე.

საპროცენტო შემოსავალი: საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამ მეთოდით, საპროცენტო შემოსავლის სახით გადავადდება მხარეებს შორის ხელშეკრულების ყველა საკომისიო, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, ასევე ყველა პრემია ან ფასდათმობა. საპროცენტო შემოსავალი გამოივლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულებიდან, გარდა (i) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც გაუფასურდა (მე-3 ეტაპი), როდესაც საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხით დაკორექტირებული ინსტრუმენტის ამორტიზირებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, და (ii) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებია, რომლებისთვისაც კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დარიცხვა ხდება ამორტიზირებულ ღირებულებაზე.

დაქირავებულ თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები: ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მეირ. კომპანიას არ გააჩნია

იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ: წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცება.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, სააღირცხვო პოლიტიკის გამოყენებისას აგრეთვე იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება: ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებით. განსჯა გამოიყენება იმის განსასაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არ არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია.

ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონებების სასარგებლო მომსახურების ვადა: ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასაგრებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ კომპანიას. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ს მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილბრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია

ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. ამჟამად, კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ფასს 16 „იჯარა (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტით დადგენილია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები. ყველა იჯარის შედეგია მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც საიჯარო გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება, დაფინანსების მიღებაც. შესაბამისად, ფასს 16-ით გამორიცხულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს მოითხოვებოდა ბასს 17-ით და სანაცვლოდ შემოღებულია იჯარის აღრიცხვის ერთი მოდელი. მოიჯარეს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისათვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში განაცალკევოს საიჯარო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს 16-ით არსებითად გადატანილია ასს-ში 17 მოცემული მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს თავისი იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, და ამ ორი ტიპის იჯარის განსხვავებულად აღრიცხვას. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 – „სადაზღვევო ხელშეკრულებები" – (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4 რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ 23 – „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით" – (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს). ბასს 12-ში მითითებულია, როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული, როგორ უნდა

აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ბასს 12-ში მოცემული აღიარებისა და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს, მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. საწარმომ უნდა განსაზღვროს, თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე, თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვევლობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა ივარაუდოს, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია და შემოწმებისას მას ეცოდინება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ მოსალოდნელი არ არის საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი გადასახადის მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით; ეს დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვევლობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა. საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტებისა ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ დაშვებებზე ან შეფასებებზე.

ფაქტებისა და გარემოებების ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს დაშვებების ან შეფასების ხელახლა შეფასება, მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემოწმებებით ან ქმედებებით საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო ორგანოს მეირ დადგენილი წესების ცვლილებები ან საგადასახადოს მიერ საგადასახადო მიდგომის შემოწმების ან ხელახლა შემოწმების უფლების ვადის გასვლა. საგადასახადო მიდგომასთან დაკავშირებით, საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმება ან უთანხმოება, ცალკე აღებული, არ არის სავარაუდო, რომ წარმოადგენდეს ფაქტების და გარემოებების ცვლილებას ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ დაშვებებსა და შეფასებებზე. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები იძლევა იმ სესხებისა და სავალო ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულებით შეფასების საშუალებას, რომელთა ავანსად გადახდა შესაძლებელია თანხით, რომელიც ამორტიზებულ ღირებულებაზე ნაკლებია, მაგალითად, რეალური ღირებულება ან თანხას, რომელიც მოიცავს მსესხებლისთვის გადასახდელ გონივრულ კომპენსაციას, რომლის ოდენობა ამ ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების დარჩენილ ვადაში საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდის ეფექტის

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ახლანდელი ღირებულების ტოლია. ამასთან, სტანდარტის დასკვნის საფუძველში ჩამატებული ტექსტით დადასტურებულია ფასს 9-ის არსებული სახელმძღვანელო მითითებები, რომ იმ ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება ან გაცვლა, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებითაა შეფასებული და არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, განაპირობებს შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვას. ამიტომ, საანგარიშგებო საწარმოები უმეტესწილად ვერ შეძლებენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გადასინჯვას სესხის დარჩენილი მომსახურების ვადისთვის, რათა თავიდან აიცილონ სესხის მოდიფიცირებისას მოგება-ზარალზე გავლენა. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ბასს 28-ში „გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში" (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გარკვევითაა მინიშნებული, რომ საწარმოებმა ფასს 9 უნდა გამოიყენონ იმ გრძელვადიანი სესხების, პრივილიგირებული აქციებისა და მსგავსი ინსტრუმენტების მიმართ, რომლებიც ინვესტიციის მიმღებში კაპიტალ-მეთოდით წმინდა ინვესტიციის ნაწილია, სანამ ისინი შეამცირებენ მსგავს საბალანსო ღირებულებას ინვესტიციის მიმღების იმ ზარალის წილით, რომელიც აღემატება ინვესტორის წილს ჩვეულებრივ აქციებში. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ის წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წწ ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ბასს 12-სა და ბასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შეზღუდული მოქმედების სფეროს მქონე ეს ცვლილებები ოთხ სტანდარტს ეხება. ფასს 3-ში ახსნილია, რომ შემძენმა ხელახლა უნდა შეაფასოს ერთობლივ ოპერაციაში ადრე მის მიერ ფლობილი წილი, როდესაც ის ამ ბიზნესის კონტროლს მოიპოვებს. საპირისპიროდ, ახალ ფასს 11-ში ერთმნიშვნელოვნადაა ახსნილი, რომ ინვესტორმა ხელახლა არ უნდა შეაფასოს ადრე მის მიერ ფლობილი წილი, როდესაც ის ერთობლივ ოპერაციაზე ერთობლივ კონტროლს მოიპოვებს, არსებული მოთხოვნების მსგავსად, როდესაც მეკავშირე საწარმო ერთობლივი საწარმო ხდება და პირიქით. შეცვლილ ასს 12-ში ახსნილია, რომ საწარმო დივიდენდებთან დაკავშირებულ მთელ მოგების გადასახადს აღიარებს, როდესაც მას აღიარებული აქვს ოპერაციები ან მოვლენები, რომლებმაც წარმოქმნა დაკავშირებული მოგების განაწილება, მაგალითად, მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში. ახლა ცხადია, რომ ეს მოთხოვნა ყველა ვითარებას ეხება იმდენად, რამდენადაც კაპიტალად კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის გადახდები წარმოადგენს მოგების განაწილებას, და არა მარტო იმ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო შედეგი გამოწვეულია განაწილებულ ან გაუნაწილებელ მოგებაზე განსხვავებული საგადასახადო განაკვეთების გამო. გადასინჯულ ბასს 23-ში ახლა მოცემულია ცალსახა მითითებები, რომ კონკრეტული აქტივის დასაფინანსებლად მოძიებული ნასესხები თანხები გამოირიცხება საერთო ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებისაგან, რომლებიც კაპიტალიზაციის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ მხოლოდ კონკრეტული აქტივის არსებითად დასრულებამდე. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ბასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება" (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში მითითებულია, როგორ უნდა განისაზღვროს საპენსიო ხარჯები დადგენილ გადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ცვლილების შემთხვევაში. პროგრამის

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ცვლილებისას - ცვლილების შეტანა, შემცირება ან ანგარიშსწორება - ბასს 19-ში მოითხოვება წმინდა დადგენილი სარგებლის ვალდებულების ან აქტივის წმინდა დადგენილ გადასახდელიან ვალდებულების ან აქტივის ხელახლა შეფასება. ამ ცვლილებებით მოითხოვება ამ შეფასების განახლებული დაშვებების გამოყენება, რათა განისაზღვროს მიმდინარე მომსახურების დანახარჯი წმინდა პროცენტით, პროგრამის ცვლილების შემდეგ დარჩენილი საანგარიშგებო პერიდისთვის. ამ ცვლილებების შეტანამდე ბასს 19-ში მითითებული არ იყო როგორ უნდა განსაზღვრულიყო ეს ხარჯები პროგრამის ცვლილების შემდგომ პერიოდში. განახლებული დაშვებების გამოყენების მოთხოვნით მოსალოდნელია, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფილი იქნება

სასარგებლო ინფორმაცია. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტება; ასევე მნიშვნელოვანი საკითების ახსნას, როგორიცაა მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი.

საწარმოს განმარტება - ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გადასინჯულია საწარმოს განმარტება. საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ჩარჩო იმის შესაფასებლად, როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც პროდუქციას არ წარმოქმნიან. როდესაც პროდუქცია არ იქმნება, საწარმოს სახით კლასიფიკაციისთვის საჭიროა ორგანიზებული სამუშო ძალის არსებობა. „პროდუქციის“ განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოქმნის საინვესტიციო და სხვა შემოსავალს და არ შეიცავს დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიაბისა და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია „კონცენტრაციის ტესტის“ გამოყენება. შეძენილი აქტივები საწარმოს არ წარმოადგენენ, თუ ამ აქტივების ბრუტო რეალური ღირებულება არსებითად კონცენტრირებული არ არის ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). ეს შესწორებები პერსპექტიულია და კომპანია მათ გამოიყენებს და შეაფასებს მათ გავლენას 2020 წლის 1 იანვრიდან.

არსებითობის განმარტება - ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლი კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. დასასრულ, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ

ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო საწარმოს შესახებ. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულებებში მოძრაობა იყო შემდეგი

	შენობა-ნაგებობები	**სამედიცინო აღჭურვილობა**	**საოფისე და სხვა აღჭურვილობა**	**იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა**	**სულ ძირითადი საშუალებები**
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	**3 047 646**	**2 597 972**	**348 842**	**16 000**	**6 010 460**
ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	3 289 982	3 858 399	527 453	98 796	**7 774 629**
დაგროვილი ცვეთა	(242 335)	(1 260 427)	(178 611)	(82 796)	**(1 764 169)**
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	3 047 646	2 597 972	348 842	16 000	**6 010 460**
დამატებები	882 669	453 622	194 563	-	**1 530 854**
გასვლები	-	(206 315)	-	-	**(206 315)**
ცვეთის ხარჯი	(65 800)	(266 755)	(44 150)	(1 976)	**(378 681)**
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**3 864 516**	**2 578 524**	**499 255**	**14 024**	**6 956 318**
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	4 172 650	4 105 706	722 016	98 796	**9 099 168**
დაგროვილი ცვეთა	(308 135)	(1 527 182)	(222 761)	(84 772)	**(2 142 850)**
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	3 864 516	2 578 524	499 255	14 024	**6 956 318**
დამატებები	216 192	3 555	11 670	109 175	**340 593**
გასვლები	-	(2 800)	-	-	**(2 800)**
ცვეთის ხარჯი	(100 705)	(315 170)	(56 030)	(4 853)	**(476 758)**
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	**3 980 002**	**2 264 110**	**454 895**	**118 346**	**6 817 353**
ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	4 388 842	4 106 462	733 686	207 971	**9 436 960**
დაგროვილი ცვეთა	(408 840)	(1 842 352)	(278 791)	(89 625)	**(2 619 607)**
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	3 980 002	2 264 110	454 895	118 346	**6 817 353**

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.დეკ.24	**31.დეკ.23**
სავაჭრო მოთხოვნები	844 231	1 444 082
გადახდილი ავანსები	85 020	85 020
საგადასახადო აქტივი, ვალდებულება, ნეტო	-	-
სულ	**929 251**	**1 529 102**

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2024 წლის 31 დეკემბერი	**2023 წლის 31 დეკემბერი**
ნაღდი ფული სალაროში, ეროვნულ ვალუტაში	1 078	7 315
ფული ბანკში, ეროვნულ ვალუტაში	323 526	(603)
ფული ბანკში, უცხოურ ვალუტაში	15 626	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**340 229**	**6 712**

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი შესაძლებელია შეჯამდეს საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის Fitch Ratings-ის მიერ განსაზღვრული საკრედიტო რეიტინგების შესაბამისად. კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია საფინანსო დაწესებულებაში რეიტინგით „BB-“.

10. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 0 ლარის ოდენობით.

11. აღებული სესხები

	2024 წლის 31 დეკემბერი	**2023 წლის 31 დეკემბერი**
სესხის ძირი და პროცენტი	(3 576 421)	(3 343 754)
სულ აღებული სესხები	**(3 576 421)**	**(3 343 754)**

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.დეკ.24	**31.დეკ.23**
სავაჭრო ვალდებულებები	(1 989 660)	(1 951 502)
მიღებული ავანსები	-	-
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	(489 818)	(306 846)
საგადასახადო აქტივი, ვალდებულება, ნეტო	(230 405)	(80 411)
სულ	**(2 709 883)**	**(2 338 760)**

13. ამონაგები

	2023	**2022**
ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან	(1 439 581)	(2 105 226)
სხვა ამონაგები	-	-
სულ ამონაგები	**(1 439 581)**	**(2 105 226)**

14. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა: საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციების საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

გარემოსდაცვითი საკითხები: საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარმოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება, პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ

შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

15. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ლარის გაცვლითი კურსი: საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ, ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელის მოწერის თარიღამდე, საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი შემცირდა ევროსთან მიმართებით და შეადგენდა 1 ევრო = 3,1204 ლარი, ხოლო გამყარდა აშშ დოლართან მიმართებით - 1$=2,7052 ლარი.